განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
**ხელოვნებათმცოდნეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
**საქართველოს უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი 28 იანვარი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
11 თებერვალი 2019 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება-საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ხელოვნებათმცოდნეობა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი 1007 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | პროგრამა აკრედიტებულია 01/04/2014, №70 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა სამსონაძე, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ოჩხიკიძე, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა და ხორციელდება 2007 წლიდან; 2014 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური პროფესიული კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე ხელოვნებათმცოდნის მომზადებით ხელი შეუწყოს ქვეყნის მდიდარი კულტურული მეკვიდრეობის შესწავლას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას. პროგრამა კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ სწავლებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, განუვითაროს მას ხელოვნების ნიმუშთა კვლევის სფეროსთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს, თეორიულ სალექციო კურსებთან ერთად მასში ჩართულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც კულტურის სფეროს რამდენიმე ორგანიზაციაში ხორციელდება (მუზეუმები, გალერეები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და სხვ.). სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაცია და შეიძინოს სპეციფიური ცოდნა არტმარკეტინგისა და არტმენეჯმენტის სფეროებში. პროგრამის ამგვარი სტრუქტურა კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს და დასაქმების საკმაოდ ფართო პერსპექტივას სთავაზობს მას.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამა ანიჭებს ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის კვალიფიკაციას. მისი სტრუქტურა საკმაოდ მოქნილია, აგებულია ძირითადი და დამატებითი (major/minor) -სპეციალობის ან ძირითადი სპეციალობის შესაბამისი კონცენტრაციის არჩევის პრინციპით და სტუდენტს დამატებითი სპეციალობის მიღების ან კონცენტრაციის არჩევის შესაძლებლობას აძლევს. პროგრამის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

**კონცენტრაცია „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“**

- პროგრამის ძირითადი საგნები - 162 კრედიტი
- არჩევითი საგნები - 18 კრედიტი
- თავისუფალი კრედიტები - 18 კრედიტი
- კონცენტრაცია „კუტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“- 42 კრედიტი

**ძირითადი და დამატებითი სპეციალობა**

- პროგრამის ძირითადი საგნები - 162 კრედიტი
- თავისუფალი კრედიტები - 18 კრედიტი

- დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური და მატერიალური რესურსით, პროგრამას ემსახურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საგამოცდო ცენტრები. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩაირიცხა 96 სტუდენტი, დაამთავრა 18 სტუდენტმა, კურსდამთავრებულთა 65% დასაქმებულია (მათ შორის, სპეციალობის მიხედვით დასაქმებულია 48%). ამჟამად პროგრამას ჰყავს 26 სტუდენტი. ყოველწლიურად პროგრამაზე ხორციელდება 15 სტუდენტის მიღება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  შპს- საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 28 იანვარს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც კონსტრუქციულად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და, ამდენად, **მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, ვინაიდან 4.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან, ხოლო 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად, **მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, შემუშავდეს ქართული პლასტიკის (რელიეფი და ქანდაკება) სასწავლო კურსი, რომლითაც შეივსება და გამთლიანდება ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის საერთო სურათი.

  - საანგარიშო პერიოდში განახლდა სასწავლო რესურსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, ძირითადი სპეციალობის რამდენიმე კურსის (მაგალითად, სასწავლო კურსები: თანამედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნება) სასწავლო რესურსის განახლება და გამდიდრება უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; გასააქტიურებელია სილაბუსებში უახლესი სასწავლო რესურსის ასახვის უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა/პროცედურა

  - პრაქტიკის კომპონენტი კურიკულუმის სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება მეოთხე კურსზე. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსი უფრო ადრე, სავარაუდოდ, სწავლების მეორე წელს განხორციელდეს. ამგვარი ცვლილება საშუალებას მისცემს სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

  - რეკომენდებულია, მომზადდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვების სრულფასოვანი სქემა (დაკავებული პოზიციის, სასწავლო კურსების სახელწოდებების და შესაბამისი საათობრივი (მათ შორის სხვა უსდ-ში) დატვირთვების მითითებით)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კურიკულუმი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაციას. სასურველია, კურიკულუმის ფარგლებში ან თუნდაც ფარგლებს გარეთ 4 სასწავლო წლის

განმავლობაში დაიგეგმოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გაცნობა, რაც გააღრმავებს სტუდენტის დარგობრივი ცოდნის დონეს და აამაღლებს მის მოტივაციას.

- სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების საკონსულტაციო ცხრილის გაცნობის მექანიზმი.
- სასურველია უკეთ იყოს ორგანიზებული სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.
- სასურველია კურსდამთავრებულების უფრო აქტიურად ჩართვა პროგრამის მოდიფიცირების, განვითარების პროცესში.
- სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებიდან (1306 + 6 მონოგრაფია + 1 სახელმძღვანელო) გამოიხშიროს და აღირიცხოს პროგრამაში ჩართული დარგობრივი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით;
- სასურველია, გამოიკვეთოს და გააქტიურდეს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის (დარგის სპეციალისტის) როლი პროგრამის განხორციელება-განვითარებაში.
- სასურველია, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვოს წლიური ანგარიშების წარდგენა, მონაცემების დეტალური მითითებით (სახელწოდებები, თარიღები და ა.შ.)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სრულფასოვან ინტერნაციონალიზაციაზე, მათ ინტეგრაციაზე საერთაშორისო საგანმანათლებლო/სამეცნიერო სივრცეში და უქმნის მათ შესაძლებლობას სწავლა გააგრძელონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს მომზადებას ინგლისური ენის აკადემიური გამოცდისთვის(TOEFL) და ინგლისური ენის აკადემიური გამოცდისთვის(IELTS);
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხო ენების შესწავლის ლაბორატორია.
- პროგრამის მდგრადობა თვალნათლივაა დასაბუთებული სკოლის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- საანგარიშო პერიოდში განახლდა ცალკეული სასწავლო კურსების საკითხავი მასალა და ლიტერატურა, რომელიც დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას;

- მოხდა სასწავლო კურსების გამსხვილება და სამკრედიტიანი საგნები ჩანაცვლდა ექვსკრედიტიანი შესაბამისი საგნებით ;
- მთელ რიგ სასწავლო კურსებში გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- პროგრამის კურიკულუმს დაემატა სავალდებულო საგანი - არტეფაქტების მხატვრული ანალიზის საფუძვლები, რომელიც უზრუნველყოფს ბაკალავრის მიერ ხელოვნების ნიმუშების იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარის გამომუშავებას;
- გაფართოვდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი და შეივსო საგნებით მაგ. სახვითი ხელოვნების საფუძველები I და სახვითი ხელოვნების საფუძვლები II, რომლებიც აუმჯობესებენ კურსდამთავრებულის კომპეტენციას.
- ეწყობა ექსპედიციები და სტუდენტები მონაწილეობენ საგამოფენო სივრცეების მოწყობაში.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური, შესაბამისი პროფესიული კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე ხელოვნებათმცოდნის მომზადებით ხელი შეუწყოს ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას. პროგრამა ფართო ჰუმანიტარულ განათლებას აძლევს სტუდენტებს; კურიკულუმით გათვალისწინებული პრატიკული კომპონენტი ხორციელდება ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული მუზეუმი, სამხატვრო გალერეები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სხვ.. აქედან გამომდინარე, კურსდამთავრებული აღჭურვილია თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული მუშაობის უნარებით. კურიკულუმის სტრუქტურის შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ როგორც დამატებითი პროგრამა, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაცია, რაც განსხავებული ცოდნის შეძენის და უნარების განვითარების წყაროა მათთვის და პასუხობს თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. განათლების ამგვარი ინტერდისციპლინური პროფილი მიმართულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გამომუშავების, იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისკენ, რომლებიც აუცილებელია ხელოვნების ნიმუშთა კვლევის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის აღსაზრდელად. ამდენად, პროგრამა დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული. მისი მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან: *„საქართველოს უნივერსიტეტი ეწევა ცოდნის წარმოებას და პიროვნების განათლებას, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით და ამით ხელს ვუწყობთ საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.* |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საქართველოს უნივერსიტეტის მისია;<br>• საბაკალავრო პროგრამა; |

| |
|---|
| • თვითშეფასების ანგარიში; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით. პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარები, რაც ხელოვნებათმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტისთვის არის აუცილებელი. დამატებითი პროგრამის ან კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაციის არჩევის საშუალება დამატებითი ცოდნისა და უნარების განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. სწავლის შედეგები დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან არის დაკავშირებული, პასუხობს მათ და აუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმების |

| |
|---|
| პერსპექტივას. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.<br>უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიტემა და პროცედურა, რომელიც მოიცავს პროგრამის მომზადების, დამტკიცებისა და შემდგომი განვითარების კომპონენტს, ბაზრის კვლევას, რესურსების ანალიზს, კონსულტაცია/გამოკითხვას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შემდგომ მისი შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული დამსაქმებლები, რომელთა რეკომენდაციები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობს აკადემიური პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათი ერთობლივი ძალისხმევით პროგრამა და მისი სწავლის შედეგები განიცდის მოდიფიცირებას, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნები და მეორე მხრივ, აკადემიური მხარის მიდგომა საფუძვლად ედება სწავლის შედეგების სინქრონიზაციისა და შეფასების პროცესს. გარდა ამისა, დამსაქმებელთა და დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვების საშუალებით უნივერსიტეტი იკვლევს სწავლის შედეგების აქტუალობას და პროგრამის მიერ გამომუშავებული პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების რელევანტურობას შრომის ბაზარზე. ყველა გამოკითხვის შედეგი ფასდება და ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ხოლო ანალიზის შედეგები საფუძვლად ედება პროგრამის განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან;<br>• გამოკითხვის ანკეტები;<br>• აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☑ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სავალდებულო ეროვნულ გამოცდებთან ერთად უნივერსიტეტს ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული აქვს ისტორიის ან ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება, რაც შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის პროფილს. წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.ug.edu.ge და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ამდენად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი- www.ug.edu.ge

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავს პროგრამის ინიცირების, შემუშავების, განხილვის, დამტკიცების კომპონენტებს. მათი თანმიმდევრობა განაპირობებს პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურის ხანგრძლივობას. პროცესში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული პერსონალი. პროცესის მსვლელობისას გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები და გამოკითხვის ფორმები.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. მას საკმაოდ მოქნილი სტრუქტურა აქვს და ითვალისწინებს კურიკულუმის ორ განსხვავებულ ვარიანტს. ერთ შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დამატებითი პროგრამა, ხოლო მეორე შემთხვევაში ის ირჩევს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაციას. პროგრამის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

**დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში:**

ძირითადი სასწავლო კურსები - 162 კრედიტი

თავისუფალი კრედიტი - 18 კრედიტი

დამატებითი პროგრამა- 60 კრედიტი

**კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:**

ძირითადი სასწავლო კურსები - 162 კრედიტი

თავისუფალი კრედიტი - 18 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი

კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სასწავლო კურსები - 42 კრედიტი

ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი ( 12 ) კრედიტი, რომლითაც სრულდება პროგრამა.

პროგრამის კურიკულუმი შედგენილია მარტივიდან რთულზე გადასვლის

პრინციპით; თანდათანობით ხდება  იმ კომპეტენციების ჩამოყალიბება, რომელსაც პროგრამის მიზანი  და სწავლის შედეგები ითვალისწინებს.

საბაკალავრო პროგრამის ძირითადი  საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და ზოგ შემთხვევაში გვევლინება მომდევნო სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად. ამით უზრუნველყოფილია წინა კომპონენტით მიღებული სწავლის შედეგზე ახალი ცოდნის დაშენება და ამ გზით სწავლის ახალი შედეგების მიღწევა, ხოლო მათი ერთობლიობა მეტწილად  განაპირობებს  პროგრამის მიერ დასახული  სწავლის საერთო შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის კვალიფიკაციას და დარგის სპეციალისტისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემას უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისათვის.

კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დიფერენცირებულია ზოგად, გამაერთიანებელ საგნებად, რომელთაც შემდგომ ხელოვნების კონკრეტული დარგის განვითარების ისტორიის სასწავლო კურსები ენაცვლება; ასე  მაგალითად, ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი  ქართული ხუროთმოძღვრების, მონუმენტური და დაზგური მხატვრობის, ქართული ლითომქანდაკებლობის განვითარების ისტორიის ცალკეული სასწავლო კურსებითაა დაგვირგვინებული. თუმცა, კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული ქართული პლასტიკის (რელიეფი და ქანდაკება) შემსწავლელი  კურსი, რაც არღვევს კურიკულუმის საერთო ლოგიკას. რეკომენდებულია, შემუშავდეს აღნიშნული სასწავლო კურსი, რაც შეავსებს და გაამთლიანებს ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის საერთო სურათს.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის  შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, შემუშავდეს ქართული პლასტიკის (რელიეფი და ქანდაკება) სასწავლო კურსი, რომლითაც  შეივსება და გამთლიანდება ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის საერთო სურათი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კურიკულუმი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაციას. სასურველია, კურიკულუმის ფარგლებში ან თუნდაც ფარგლებს გარეთ 4 სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გაცნობა, რაც გააღრმავებს სტუდენტის

| |
|---|
| დარგობრივი ცოდნის დონეს და აამაღლებს მის მოტივაციას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ქმნის დარგობრივი ცოდნის და პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების ერთობლიობას, რომელსაც შემდგომ ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგები. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკი მოიცავს დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების განმავითარებელ საგნებს, უცხო ენის, აკადემიური წერის, კლასიკური ენების, ისტორიის საგნებსა და პრაქტიკულ კომპონენტს. ეს უკანასკნელი ხორციელდება კულტურის სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციის ბაზაზე.<br>სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ცოდნისა და უნარების თანდათანობით გამომუშავებას ისახავს მიზნად. კურსების შინაარსი ლოგიკურ კავშირშია კურსის სწავლის შედეგებთან.თითოეული სასწავლო კომპონენტი ექვსკრედიტიანია, ხოლო საერთო სალექციო ბადეში საკონტაქტო საათების რაოდენობა (კურიკულუმში გვხვდება ორი ან სამი საკონტაქტო საათი ) კონკრეტული სასწავლო კურსის პედაგოგის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით განისაზღვრება. ამდენად, ერთნაირი საკრედიტო მოცულობის |

| |
|---|
| პირობებში ხდება სასწავლო კურსის რეალური საჭიროებების დიფერენცირება, რაც ძირითადად უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას. შესაბამისად, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევადობას.<br>სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად კურსის შინაარსის ( თემატიკის) რელევანტურია, თუმცა სპეციალობის რამდენიმე კურსის სასწავლო რესურსი გასაახლებელი და გასამდიდრებელია უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სისტემატურად ხდება პედაგოგების გამოკითხვა სილაბუსის თემატიკისა და ლიტერატურის თანხვედრის ან ახლადგამოცემული რესურსის სილაბუსში სასწავლო მასალად გამოყენების თაობაზე, თუმცა, როგორც ჩანს, გამოკითხვის პროცედურა დასახვეწია, გასააქტიურებელია მუშაობა და გასაკონტროლებელია სილაბუსებში უახლესი გამოცემების ასახვის პრაქტიკა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საბაკალავრო პროგრამა<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; |
| **რეკომენდაციები:**<br>• ძირითადი სპეციალობის რამდენიმე კურსის (მაგალითად, სასწავლო კურსები: თანამედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნება) სასწავლო რესურსი გასაახლებელი და გასამდიდრებელია უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; გასააქტიურებელია სილაბუსებში უახლესი სასწავლო რესურსის ასახვის უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა/პროცედურა |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკი მოიცავს როგორც თეორიულ საგნებს, ასევე, სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს. უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე პრაქტიკა ხორციელდება ეროვნულ მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სამხატვრო გალერეებში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში, ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოში. სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ეცნობიან პრაქტიკის ობიექტს, მისი ფუნქციონირების პროცესს, თავად იღებენ გარკვეული აქტივობების შესრულებაში (მაგალითად, საექსპოზიციო სამუშაოები) მონაწილეობას. სტუდენტები აწარმოებენ დღიურს, რომელსაც წარადგენენ უნივერსიტეტში კრედიტის მოსაპოვებლად. უნივერსიტეტში არსებობს ოფიციალური სტატუსის მქონე არქეოლოგიური მუზეუმი და ექსპოზიცია, რომლის განახლების პროცესში მონაწილეობა სტუდენტს ასევე უვითარებს საექსპოზიციო მუშაობის პრაქტიკულ უნარს.ამდენად, მათ უვითარდებათ შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. აღნიშნული კომპონენტი კურიკულუმის სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება მეოთხე კურსზე. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მათ პრაქტიკის გავლა მიზანშეწონილად მიაჩნიათ უფრო ადრე, სავარაუდოდ, სწავლების მეორე წელს. ამგვარი ცვლილება საშუალებას მისცემს მათ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.<br><br>ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მთელი რიგი სასწავლო კურსები კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება, აჩვევს სტუდენტს |

| |
|---|
| დამოუკიდებელი ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდების ხმარებას. საბაკალავრო ნაშრომი, რომლითაც სრულდება სასწავლო პროცესი პრაქტიკულად მცირე მასშტაბის კვლევას წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ასრულებს და წარადგენს საბჭოს წინაშე კვალიფიკაციის მოსაპოვებლად. საბაკალავრო ნაშრომი დამოუკიდებელი მუშაობის და კვლევითი მეთოდების ადეკვატურად გამოყენების უნარს უვითარებს სტუდენტებს.<br><br>გარდა კურიკულუმით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტებისა თავად უნივერსიტეტი ზრუნავს შესაბამისი უნარების გაღრმავებაზე და საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოისმინონ ქართველი და უცხოელი სპეციალისტების საჯარო ლექციები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ორგანიზებულ ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბაკალავრო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;<br>• პრაქტიკის დოკუმენტაცია;<br>• სამეცნიერო კონფერენციების მასალები;<br>• მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პრაქტიკის კომპონენტი კურიკულუმის სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება მეოთხე კურსზე. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსი უფრო ადრე, სავარაუდოდ, სწავლების მეორე წელს განხორციელდეს. ამგვარი ცვლილება საშუალებას მისცემს სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უნივერსიტეტი იყენებს დარგისა და სასწავლო კურსების სპეციფიკასთან მორგებულ, აპრობირებულ სწავლა სწავლების მეთოდებს ან მათ კომბინაციას: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წერითი რეფერატების მომზადება, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკა, ხელოვნების ნიმუშების ანალიზი და სხვ. კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენება მეთოდთა კომბინირების ხერხი. სწავლა სწავლების მეთოდების ეფექტურობის , სასწავლო კურსის სპეციფიკასთან მათი თავსებადობის შესაფასებლად უნივერსიტეტში ტარდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შემუშავებული რეკომენდაციები გამოიყენება ცალკეული მეთოდების მოდიფიცირების, გააქტიურების ან მათი ჩანაცვლების მიზნით პროგრამის და სასწავლო კურსების განვითარების პროცესში. ამდენად, აღნიშნულ მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც სასწავლო კურსების, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის მასალები;

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.6. სტუდენტების შეფასება |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების სისტემა მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებას, შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტებს განსაზღვრული აქვს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასება ხორციელდება ღია და დახურული კითხვების, საშინაო დავალების, ხელოვნების ნიმუშის ან არქეოლოგიური არტეფაქტის მხატვრული ანალიზის, რეფერატის მომზადება/პრეზენტაციის და სხვ. კომპონენტების მეშვეობით. შეფასების მიზანია, შემოწმდეს სტუდენტის ფაქტობრივი ცოდნა (ღია და დახურული კითხვები), მასალის გააზრება და ინფორმაციის ადეკვატური ფორმით წარმოდგენა; ტერმინოლოგიის და დეფინიციების სწორად გააზრებისა და რელევანტური ცნებების მნიშვნელობის ცოდნის ხარისხი; არტეფაქტების სწორი |

| |
|---|
| იდენტიფიცირების, ინტერპრეტირების, ანალიზის უნარი; ციტირების სათანადო წესის დაცვით საკუთარი მოსაზრების აკადემიურად გადმოცემის უნარი, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი, უცხო ენის პრაქტიკული ფლობისა და ზეპირი კომუნიკაციის პროცესში გამოყენების უნარი და სხვ..<br><br>შემუშავებულია პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიერ დღიურის წარმოებას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება/წარდგენას, ექსპოზიციების მოწყობაში მონაწილეობას კურატორის ზედამხედველობით და, შესაბამისად, კურატორისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასებას. პრაქტიკის კომპონენტის მეშვეობით მოწმდება სტუდენტის მიერ თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.<br>შეფასების კომპონენტებს და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ავტორი პროგრამის /დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე.<br>სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც ატვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში და ხელმისწავდომია ყველა სტუდენტისთვის. შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და მაქსიმალური ობიექტურობის დაცვის მიზნით დასკვნითი გამოცდები მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ორგანიზებით, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორება ხდება ანონიმურად. ცალკეულ საგნებში (საქართველოს ისტორია, ინგლისური ენა და სხვა გამოცდა კომპიუტერულია). სტუდენტს შესაძლებლობა აქვს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურის და ვადების დაცვით გაასაჩივროს მიღებული ქულა; გასაჩივრების მექანიზმის არსებობა დადასტურებულია სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.<br>ამდენად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურის მიხედვით, გამჭვირვალედ და სამართლიანად; შეფასების პროცესი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბაკალავრო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,<br>• სტუდენტებთან; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ☑ | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პირველკურსელთათვის იმართება სპეციალური შეხვედრა დეკანთან, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტები ეცნობიან სასწავლო პროცესის გეგმას, მისი განხორციელების გზებსა და მეთოდებს. თითოეულ მათგანს საგნის სილაბუსი ეგზავნება ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტში მოქმედი ელეტრონული ქსელის პირად გვერდზე. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს აქვთ საშუალება მიმართონ სკოლის დირექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს, სასწავლო პროგრამის ფარგლებში მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე კონსულტაციების მიღებასთან დაკავშირებით. სტუდენტების ინტერვიურებისას, არ დადასტურდა ცოდნა სპეციალურად მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო დროის ცხრილის შესახებ. სტუდენტებთან საკონსულტაციოდ აქტიურად გამოიყენება, ასევე, სოციალური ქსელი.

საქართველოს უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა შეფასების წერილობითი და ზეპირი ფორმა. სტუდენტი შეფასებას იგებს ელექტრონული ქსელით. მას შეუძლია მიმართოს მისთვის ცნობილ გასაჩივრების პროცედურას, ამისთვის სტუდენტის პირად გვერდზე არსებობს სპეციალური გასაჩივრების გრაფა. სტუდენტი ლექტორისაგან იღებს არგუმენტირებულ პასუხს მის პრეტენზიასთან დაკავშირებით. ინტერვიურებისას სტუდენტმა დაადასტურა ამ პროცედურით პირადად სარგებლობის შემთხვევა.

სასწავლო პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების კრიტერიუმებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების გარდა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, უნივერსიტეტის ლოკალური ელექტრონული ქსელის საშუალებით, მიიღონ ინფორმაცია სტაჟირებების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა აქტივობების, დასაქმების შესახებ. უნივერსიტეტში არსებობს დასაქმების ფორუმიც. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტს შეუძლია მიმართოს სტუდენტურ თვითმმართველობასაც. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა მიერ მართული სხვადასხვა კლუბი, მათ შორის ხელოვნების მოყვარულთა კლუბი, რომელმაც განახორციელა საჯარო ლექციების, ექსკურსიების ორგანიზება. სტუდენტების აღნიშვნით, ამჟამად კლუბი არ ფუნქციონირებს. სურვილის შემთხვევაში, სტუდენტები მონაწილეობენ უნივერსიტეტში არსებული მუზეუმის საქმიანობაში, ძირითადად, საექსპოზიციო სივრცის მოწყობის მიმართულებით. მათ აქვთ საშუალება სტაჟირება გაიარონ ხელოვნების მუზეუმში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ისინი სარგებლობენ ამ შესაძლებლობებით. დამატებით სპეციალობად სტუდენტები ირჩევენ კულტურის სფეროს მენეჯმენტს, ეს ეხმარება მათ ადგილი დაიმკვიდრონ შრომით ბაზარზე სამუზეუმო საქმიანობის განხრით.

ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამით გაუთვალისწინებული ღონისძიებების - კონფერენციების, ექსპედიციების გამართვის შესახებ, **თუმცა, ინტერვიუზე მყოფი სტუდენტებიდან არცერთი მათგანი არ ყოფილა ჩართული ამგვარ ღონისძიებებში.**

სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდური და

ელექტრონული რესურსებით.

კურსდამთავრებულებმა, ინტერვიურებისას, აღნიშნეს პროგრამის კარგი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ერთ-ერთმა მათგანმა ისარგებლა მობილობით და გადმოვიდა ხელოვნებათმცოდნეობაზე, რადგან მოიხიბლა პროგრამითა და ლექტორების კვალიფიკაციით. კურსდამთავრებულთა თქმით, ბაკალავრიატში სწავლისას, მათთვის ყველა საგანი საინტერესო იყო, მასალა კი, მრავალფეროვანი. დააკლდათ დროის სწორად გადანაწილების უნარი, ასევე, კრიტიკული წერის ჩვევის გამომუშავება, რაც მათი აზრით, ცალკე საგნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. აღნიშნეს მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით მიღებული ცოდნა, თუმცა, დააკლდათ საერთაშორისო გამოცდილების ქონა. ერთ-ერთი კუსდამთავრებული მონაწილეობდა გაცვლით პროგრამაში ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის მუზეუმში. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოიპოვა თავად, უნივერსიტეტის მონაწილეობის გარეშე. კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს სურვილი ქართული ხელოვნება იკითხებოდეს არა მხოლოდ აუდიტორიაში, არამედ გალერეაში, მუზეუმებში, ორიგინალების წინაშე, ისინი ისურვებდნენ პრაქტიკის გავლას პირველ ან მეორე კურსზე მეოთხე კურსის ნაცვლად, მათი აზრით, ეს დაეხმარებათ სტუდენტებს უკეთ და დროულად გაიხსნან თავიანთ პროფესიაში.

კურსდამთავრებულებს, პროგრამის შედგენაში ან გაუმჯობესებაში რაიმე ფორმით მონაწილეობა არ მიუღიათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- სილაბუსი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სტუდენტების საკონსულტაციო ცხრილის გაცნობის მექანიზმის გაუმჯობესება.
- სასურველია სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ორგანიზება.
- სასურველია კურსდამთავრებულების უფრო აქტიურად ჩართვა პროგრამის მოდიფიცირების, განვითარების პროცესში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☑ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო |

| |
|---|
| რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (პერსონალის CV, დიპლომები, ხელშეკრულებები) დასტურდება, რომ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 აფილირებული პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 19 აფილირებული), 2 აფილირებული ასისტენტ/პროფესორი, 11 მოწვეული პერსონალი; მათ შორის დარგის შესაბამისად 3 ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული პერსონალი. თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და/ან აუცილებელი გამოცდილება. თუმცა, არსებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებში მკაფიოდ არ იკვეთება პროგრამის მაპროფილებელ სასწავლო კურსებში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რამაც გაართულა კონკრეტულად ამ პროგრამაში ჩართული დარგის (ხელოვნებათმცოდნეები) სპეციალისტებს შორის თანაფარდობების დადგენა.<br>ამასთანავე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი და ვიზიტის დროს მოთხოვნილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვების სქემები არ მოიცავდა სრულყოფილ ინფორმაციას პერსონალის პედაგოგიურ-სამეცნიერო (მათ შორის მათი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში) დატვირთვის შესახებ, რასაც ითვალისწინებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები.<br><br>პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, ძირითადად, იყო ზოგადი (1306+6 მონოგრაფია+1 სახელმძღვანელო) და, მცირედი გამონაკლისის გარდა (15 ერთეული), მხოლოდ რაოდენობრივ ხასიათს ატარებდა. ამ შემთხვევაშიც, ინფორმაცია მოკლებული იყო კონკრეტულად ამ მიმართულებით (ხელოვნებათმცოდნეობა), 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის თუ სხვა სახის პროექტებში მათი მონაწილეობის შესახებ.<br>პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. მათ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. თუმცა, თვალშისაცემი იყო მათი არათანაბარი ჩართულობა ამ პროცესებში.<br>პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>• სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;<br>• პერსონალის დატვირთვაბის სქემები<br>• ინტერვიუს შედეგები |

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, მომზადდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვების სრულფასოვანი სქემა (დაკავებული პოზიციის, სასწავლო კურსების სახელწოდებების და შესაბამისი საათობრივი (მათ შორის სხვა უსდ-ში) დატვირთვების მითითებით)

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, აღირიცხოს კონკრეტულად ამ პროგრამაში ჩართული მაპროფილებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- სასურველია, გამოიკვეთოს და გააქტიურდეს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის (დარგის სპეციალისტის) როლი პროგრამის განხორციელება-განვითარებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების შესაბამისი მექანიზმები, ძირითადად, გამოკითხვები. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის კითხვარები და გამოკითხვების შედეგების ზოგადი ანალიზი. თუმცა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული გამოკითხვის შესაძლებლობა (მათ შორის, კომბინირებული კითხვარების დამუშავება), რიგ შემთხვევაში, ანკეტები ივსება ხელით, რაც, ჩვენი აზრით, ართულებს შედეგების შეფასების პროცესს.

გარკვეული პერიოდულობით, სკოლა წარადგენს საკუთარი საქმიანობის ანგარიშს, რაც აუცილებელი პირობაა ინსტიტუციური განვითარებისათვის. თუმცა, ეს ანგარიში არ ეფუძნება პერსონალის მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ წლიურ ანგარიშებს, რაც იქნებოდა სკოლის საერთო ანგარიშის დასაბუთებულობა. ვიზიტის დროს დაგვიდასტურეს, რომ აკადემიურ პერსონალს არ ევალება ისეთი ანგარიშის წარდგენა, რომელშიც სახელდებული იქნება მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თუ სხვადასხვა სახის პროექტებში მონაწილეობა.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას სკოლასთან ერთად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა, პრემიის სახით, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და იბეჭდება წაკითხულ მოხსენებათა კრებული, სკოლის პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და იბეჭდება საერთაშორისო ჟურნალებში;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;
- ჩატარებული კონფერენციების კრებულები;
- სამეცნიერო- კვლევითი ინტიტუტის დებულების დანართი პრემიების გაცემის წესის შესახებ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა.
- ინტერვიუს შედეგები;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• სასურველია,აკადემიურ პერსონალს მოეთხოვოს წლიური ანგარიშების წარდგენა, მონაცემების დეტალური მითითებით (სახელწოდებები, თარიღები და ა.შ.) |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსები, მათ შორის, კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი); ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიითა და პროგრამებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისა და დამატებითი აქტივობებისთვის; ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია |

| |
|---|
| უახლესი სახელმძღვანელოებით, წიგნებით, სხვადასხვა სახის პერიოდული ლიტერატურით, ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსით; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი და მოწყობილია სხვადასხვა საექსპოზიციო სივრცეები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• შენობის გეგმა;<br>• უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;<br>• კომპიუტერული და ენების სასწავლო ლაბორატორიები<br>• შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერილობები;<br>• საუნივერსიტეტო მუზეუმი.;<br>• საექსპოზიციო სივრცეები; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხო ენების შესწავლის ლაბორატორია |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>უნივერსიტეტში ტარდება ექსპედიციები და სტუდენტები მონაწილეობენ საგამოფენო სივრცეების მოწყობაში. |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |

| |
|---|
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამას გააჩნია სწავლების სრულ ციკლზე გათვლილი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები პროგრამაზე არსებულ სტუდენტთა რეალური რაოდენობის (სასწავლო წლის მიხედვით) გათვალისწინებით მიღებული შემოსავლებიდან არის დათვლილი, შესაბამისად, რეალისტურია, ეკონომიკურად მიღწევადია.<br>პროგრამაზე ირიცხება 26 აქტიური სტუდენტი და, ამასთანავე, 41 აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რაც ფინანსური თვალსაზრისით, თითქოსდა, არაგონივრულ თანაფარდობად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, წარმოდგენილ ფინანსურ გეგმებში ნათლად და სარწმუნოდ არის დასაბუთებული პროგრამის მდგრადობა სკოლის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში, იმ შემოსავლების გათვალისწინებით, რომელიც სკოლას გააჩნია საკუთარი პედაგოგიური პერსონალის სხვა სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის შედეგად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ფინანსური გეგმები<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პროგრამის მდგრადობა თვალნათლივაა დასაბუთებული სკოლის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ☑ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს შიდა ხარისხის შეფასებისა და გარე ხარისხის შეფასების ერთობლიობას. შიდა შეფასება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის მიერ დადგენილი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმის შესაბამისად. პროგრამის შეფასების აღნიშნული სისტემის პრიორიტეტებს წარმოადგენს პროგრამის მუდმივი მონიტორინგი მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტთა საჭიროებების კვლევა და დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე პროგრამის მორგების პროცესი; სისტემა ორიენტირებულია, ამავე დროს, კურსდამთავრებულთა კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე და მოიცავს ხარისხის პირდაპირი |

(აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების  რუკა) და არაპირდაპირი ( დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი) შეფასების ფორმებს.

შიდა ხარისხის შეფასების კომპონენტები: აკადემიური მოსწრების ანალიზი, სწავლის შედეგების რუკა, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა პროგრამაზე პერმანენტული დაკვირვების შესაძლებლოას სძენს უნივერსიტეტს. კერძოდ, აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც მართვის ელექტრონული სისტემით ხორციელდება, აგროვებს გამოკითხვის მონაცემებს, ამუშავებს და შეისწავლის მონაცემთა პროცენტულ განაწილებას, რითაც დგინდება სასწავლო კურსის სიმარტივე/სირთულე, თემატიკის რელევანტურობა/არარელევანტურობა, ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების ფორმების ადეკვატურობა/არაედეკვატურობა და სტუდენტთა მომზადების  დონე.  ამგვარად ჩატარებული სამუშაო ავლენს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. ამ უკანასკნელით კი დგინდება როგორც პროგრამის, ასევე, კონკრეტული სასწავლო კურსებით განსაზღვრული კომპეტენციების  გამომუშავების დონე/ხარისხი.

უნივერსიტეტში განსაზღვრულია სასწავლო კურსების სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ეყრდნობა  გაუსის ნორმალური განაწილების სიმეტრიულ დიაპაზონებს.  20% გადახრის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა გამოიკვლიოს ჩამოთვლილთაგან, რომელმა ფაქტორმა გამოიწვია ხარვეზი : კრედიტების/საათების განაწილება, სწავლების მეთოდები,  სასწავლო კურსის თემატიკა, სასწავლო კურსის მოცულობა, შეფასების ფორმები და მეთოდები,  ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, კურსის წინაპირობა, სასწავლო პროცესის ორგანიზება თუ სხვ.

სწავლის შედეგების რუკის მეშვეობით ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დადარება და კონკრეტულ შედეგზე გასვლის მაჩვენებლების კვლევა.

სტუდენტის კმაყოფილების კვლევა აფიქსირებს კითხვარების მეშვეობით შეგროვებულ ინფორმაციას და ადგენს სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურობას. კითხვარებით დგინდება უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტის თვითშეფასება წარუმატებლობის მიზეზებთან დაკავშირებით.

აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევით დგინდება პერსონალის დამოკიდებულება და შეფასება სასწავლო პროცესის ნებისმიერი, ორგანიზაციული თუ შინაარსობრივი კომპონენტის მიმართ.

ნებისმიერი კვლევის შედეგი გამოიყენება პროგრამის მოდიფიცირების პროცესში მისი განვითარების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა  გამოკითხვის დოკუმენტაცია;

| |
|---|
| ▪ სწავლის შედეგების რუკა; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებად უნივერსიტეტში მოაზრებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით ტარდება სწავლის შედეგების  აქტუალურობის გადამოწმების, დასაქმების ბაზრის რეალური და ხშირად ცვალებადი მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით. კვლევის მიზანს წარმოადგენს დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განსაზღვრა, რომლებიც დასაქმებას უწყობს ხელს. კვლევა მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზსაც და მისი შედეგები ასევე გამოიყენება სასწავლო კურსებისა და პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.<br>საანგარიშო პერიოდში პროგრამამ აკრედიტაციის ესპერტთა რეკომენდაციების |

| |
|---|
| შესაბამისად განიცადა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ: ნაწილობრივ განახლდა ცალკეული სასწავლო კურსების სასწავლო რესურსები დარგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურით; სასწავლო კურსები გამსხვილდა, სამკრედიტიანი საგნები ჩანაცვლდა ექვსკრედიტიანი შესაბამისი საგნებით; მთელ რიგ სასწავლო კურსებში გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა; პროგრამის კურიკულუმს დაემატა სავალდებულო საგანი - არტეფაქტების მხატვრული ანალიზის საფუძვლები, რომელიც უზრუნველყოფს ბაკალავრის მიერ ხელოვნების ნიმუშების იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარის გამომუშავებას; გაფართოვდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი და შეივსო ახალი საგნებით (მაგ. სახვითი ხელოვნების საფუძველები I და სახვითი ხელოვნების საფუძვლები II, რომლებიც აუმჯობესებენ კურსდამთავრებულის კომპეტენციას); ეწყობა ექსპედიციები და სტუდენტები მონაწილეობენ საგამოფენო სივრცეების მოწყობაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ თვითშეფასების ანგარიში;<br>▪ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედგები და მათი ანალიზი;<br>▪ ინტერვიუები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მიზნებისათვის გამოიყენოს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, დარგის აღიარებულ წარმომადგენლებს შეაფასებინოს პროგრამის ძლიერი და გასავითარებელი მხარეები მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმების გამოყენებით სისტემატიურად იკვლევს პროგრამის მიმდინარეობის, სწავლის შედეგების რელევანტურობის, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების საკითხებს.

კვლევის შედეგები გროვდება და მუშავდება; მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები შედის პროგრამის რომელიმე კომპონენტში - სასწავლო პროცესის საორგანიზაციო მხარე, სილაბუსები, სწავლა სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- კვლევების შედეგები;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☑ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს- საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ხელოვნებათმცოდნეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☑ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ☑ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☑ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ☑ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☑ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ღაღანიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა სამსონაძე

ქეთევან ოჩხიკიძე